ლიზი გაგუა, მარიამ გიოშვილი

კატოვიცეს ეკონომიკის უნივერსიტეტი, პოლონეთი

,,12-17 მაისს, Erasmus+ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის ფარგლებში, გვქონდა შესაძლებლობა, რომ მონაწილეობა მიგვეღო კატოვიცეს ეკონომიკის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კვირეულის პროგრამაში (International Staff Week).

მობილობის ფარგლებში, მივიღეთ მონაწილეობა ტრენინგებში, რომლებიც ეხებოდა კომუნიკაციის უნარებს სამუშაო გარემოში და ინტერკულტურულ განსხვავებებს სხვადასხვა ქვეყნებს შორის. ასევე, შევხვდით მონაწილეებს სხვადასხვა ქვეყნებიდან და უნივერსიტეტებიდან, გავუზიარეთ ჩვენი გამოცდილება და მოვისმინეთ საინტერესო მოსაზრებები პროგრამის თემატიკის ფარგლებში.

დატვირთულ სამუშაო შეხვედრებთან ერთად, უნივერსიტეტმა საშუალება მოგვცა დაგვეთვალიერებინა კატოვიცეს ეკონომიკის უნივერსიტეტის BaseCamp და უახლესი ტექნოლოგიებით მდიდარი ბიბლიოთეკა, რამაც ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პროგრამაში მონაწილეთათვის ასევე დაიგეგმა ტური ქალაქ კრაკოვში, რათა გავცნობოდით ქალაქის ისტორიას.’’